



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

თარიღი: 30 ოქტომბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 20:00 საათი

ადგილმდებარეობა: თელავი, კურდღელაურის ქ #19. სასტუმრო „ესკიზი“.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ციცილო ცხვედიანი, მამუკა ნოზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი.

**საკითხი 1. 2021 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საანგარიშო საერთო კრების რეგლამენტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.**

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს წარუდგინა 2021 წლის 14 ნოემბრის საერთო კრების რეგლამენტის პროექტი. წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს, დასვეს კითხვები და ყველა საკითხთან დაკავშირებით მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2021 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საანგარიშო, საერთო კრების რეგლამენტის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

**საკითხი 2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა.**

წევრები გაეცნენ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2) და ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების პროექტი წარედგინოს ასოციაციის საერთო კრებას დასამტკიცებლად.

**საკითხი 3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.**

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს დეტალურად გააცნო 2022 წლის ასოციაციის ბიუჯეტის პროექტი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ ბიუჯეტის პროექტს დეტალურად გაეცნობიან და 2022 წლის ასოციაციის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს განიხილავენ მომდევნო სხდომაზე.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**  
**თავმჯდომარე**

დამტკიცებულია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით



## **სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 14 ნოემბრის საერთო კრების რეგლამენტი**

### **მუხლი 1. რეგლამენტის მიზანი**

წინამდებარე რეგლამენტი ადგენს ასოციაციის საერთო კრებაზე (მათ შორის, განმეორებით საერთო კრებაზე) დამსწრეთა რეგისტრაციის, საერთო კრების წარმართვის, ხმის მიცემის, შედეგების შეჯამების, ასოციაციის წევრების მიერ საერთო კრებაზე უფლებამოსილებათა განხორციელების და კრების მიმდინარეობის სხვა წესებსა და პროცედურებს.

### **მუხლი 2. საერთო კრების ადგილმდებარეობა და დრო**

საერთო კრება იმართება 2021 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (მისამართი: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა N9).

### **მუხლი 3. სამანდატო კომისია**

სამანდატო კომისია შედგება 12 წევრისგან, რომლის შემადგენლობასა და თავმჯდომარეს თავისი ბრძანებით ამტკიცებს ასოციაციის თავმჯდომარე. სამანდატო კომისიის უფლებამოსილება წყდება საერთო კრების დამთავრებისთანავე. სამანდატო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი ან/და აპარატის თანამშრომელი ან/და ასოციაციაში მომსახურების ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. სამანდატო

კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს სამანდატო კომისიის საქმიანობას.

#### **მუხლი 4. საერთო კრების გახსნა და მიმდინარეობა**

4.1. ასოციაციის საერთო კრება (შემდგომში “კრება“) იმართება წინამდებარე რეგლამენტის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადგილას.

4.2. კრების გახსნამდე, 10:00 საათზე იღება იმ შენობის ან/და დარბაზის კარი, სადაც დანიშნულია კრება. კრების დარბაზში შესასვლელ კართან მორიგეობენ უსაფრთხოებასა და წესრიგზე პასუხისმგებელი პირები.

4.3. 11:00 საათზე იწყება დამსწრეთა რეგისტრაცია და გრძელდება იმავე დღის 12:00 საათამდე. კრების დარბაზის შესასვლელთან განთავსებულია სარეგისტრაციო მაგიდები, სადაც სამანდატო კომისიის წევრები ადვოკატთა ერთიან სიაში ამოწმებენ წევრთა ვინაობას, მოქალაქის პასპორტის ან პირადობის ან მართვის მოწმობის და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.<sup>1</sup> წევრის მიერ სიაში ხელმოწერის შემდეგ, სამანდატო კომისიის წევრი მანდატზე ხელმოწერით ადასტურებს ასოციაციის წევრის კრებაზე დასწრების უფლებას და გადასცემს მას მანდატს. მანდატი დამოწმებული უნდა იყოს სპეციალურად ამ კრებისთვის დამზადებული ბეჭდით, რომელზეც დაიტანება კრების თარიღი.

4.4. ასოციაციის წევრი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია, დარბაზში დაიშვება მანდატის წარდგენის საფუძველზე. მოწვეული სტუმრები დაიშვებიან წინასწარ სტუმრებისთვის შედგენილი სიების საფუძველზე, სპეციალურად მათთვის გამოყოფილ სივრცეში.

4.5. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ადვოკატთა ასოციაციის არანაკლებ 800 წევრი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, იმავე დღის 13:00 საათზე, მოიწვევა განმეორებითი კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. განმეორებითი კრების მოწვევის შემთხვევაში კრების დღის წესრიგი რჩება უცვლელი და განმეორებითი რეგისტრაცია ცხადდება 12:15 საათზე და სრულდება 13:00 საათზე. განმეორებით კრების იმავე დღეს მოწვევისას, ხელმეორედ რეგისტრაციისას არ გაიცემა ახალი მანდატი და ძალში რჩება პირველი რეგისტრაციის დროს გაცემული მანდატი.

---

<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობაზე მითითებულია პირის პირადი ნომერი, ვინაობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

4.6. 12:00 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 13:00 საათზე, სამანდატო კომისია აჯამებს კრებაზე მოსულ წევრთა რაოდენობას და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ამ ინფორმაციას გადასცემს კრების თავმჯდომარეს. კრებაზე რეგისტრაცია სრულდება 12:00 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 13:00 საათზე. დაგვიანებით მოსული წევრები შეძლებენ რეგისტრაციის გავლას 15:00 საათამდე. 15:00 საათის შემდეგ მოსული წევრები, როგორც წესი, კრებაზე არ დაიშვებიან.

4.7. წევრთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კრების თავმჯდომარე აცხადებს კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობას და ინფორმაციას კრების უფლებამოსილების თაობაზე.

4.8. რეგისტრაციაგავლილი ასოციაციის წევრი, რომელიც დატოვებს შენობას/დარბაზს, კრებაზე უკან დაიშვება მხოლოდ მანდატის და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.

## **მუხლი 5. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია**

5.1. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია ზონარგაყრილი და დალუქული სახით ინახება ასოციაციის აღმასრულებელ მდივანთან. კრების დღეს ასოციაციის წევრთა ერთიანი სია წევრთა რეგისტრაციის მიზნით გადაეცემა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი სამანდატო კომისიის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი მდივნის ხელმოწერით.

5.2. სარეგისტრაციო სიის ყოველი ფურცელი ბეჭედდასმულია და შეიცავს მონაცემებს ადვოკატის შესახებ სახელის, გვარისა და ადვოკატის სიითი ნომრის მითითებით. ადვოკატის მონაცემების გასწვრივ მოცემულია ხელმოწერის 2 გრაფა, საიდანაც პირველი გრაფა განკუთვნილია კრებაზე გამოცხადებული წევრებისთვის, ხოლო მეორე გრაფა განმეორებით კრებაზე გამოცხადებული წევრებისთვის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

5.3. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, სამანდატო კომისია უზრუნველყოფს რეგისტრაციაგავლილ წევრთა რაოდენობის დათვლას. შედეგად დაიხურება შეუვსებელი გრაფები და მის გასწვრივ დაისმება ლათინური ნიშანი - „Z“.

5.4. ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის არჩევითანავე, სარეგისტრაციო სიები სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაეცემა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სამანდატო კომისიისა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეები.

## **მუხლი 6. კრების თავმჯდომარე და უფლებამოსილებები**

6.1. კრებას ხსნის და უძღვება ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის კრების თავმჯდომარე (შემდეგში “თავმჯდომარე”). ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრებას ხსნის და უძღვება სხვა უფლებამოსილი პირი.

6.2. კრების თავმჯდომარე:

6.2.1. აცხადებს კრებას გახსნილად და დასრულებულად;

6.2.2. უძღვება საკითხის განხილვას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს. გამომსვლელის სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, რომელსაც შეიძლება კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაემატოს 1 წუთი;

6.2.3. უზრუნველყოფს ამ რეგლამენტისა და კრების წესრიგის დაცვას;

6.2.4. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

6.2.5. საჭიროების შემთხვევაში აცხადებს შესვენებას;

6.2.6. ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აფრთხილებს, სიტყვას ჩამოართმევს და სხდომათა დარბაზს ატოვებინებს პირს, რომელიც არღვევს წესრიგს;

6.2.7. ხელს აწერს კრების ოქმს;

6.2.8. ახორციელებს კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებითა და ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.3. კრებაზე საკითხის განხილვა წარმოებს კრების დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად. კრების თავმჯდომარის ინიციატივითა და კრების თანხმობით, შესაძლებელია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის ცვლილება.

## **მუხლი 7. ხმის დამთვლელი კომისია**

7.1. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის წესდებით და შედგება 15 წევრისგან, რომლებიც უნდა იყვნენ ასოციაციის წევრი ადვოკატები. ხმის დამთვლელი კომისიის წევრები აირჩევიან ღია კენჭისყრით კრების დაწყებისთანავე და მათი უფლებამოსილება წყდება კრების დასრულებისთანავე.

7.2. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არჩევნების კენჭისყრის შედეგების დათვლასა და შეჯამებას უზრუნველყოფს სამანდატო კომისია, ამ რეგლამენტით დადგენილი ღია კენჭისყრის შედეგების დათვლისა და შეჯამების პროცედურების დაცვით.

7.3. ხმის დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით ხელმძღვანელობს ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობას. ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კენჭისყრის/საარჩევნო პროცესის დოკუმენტირებას, ხოლო კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას ასრულებს მის უფლებამოსილებებს.

7.4. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულ ოქმზე ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი და კომისიის არანაკლებ 5 წევრი. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნულ ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ 5 წევრი ანდა აღმასრულებელი მდივანი ანდა საერთო კრების თავმჯდომარე.

## **მუხლი 8. კენჭისყრის წესი და პროცედურა**

8.1. ხმის დამთვლელი კომისია ღია კენჭისყრის დროს განთავსდება სექტორების მიხედვით და ხმის დამთვლელი კომისიის თითოეული წევრი ვალდებულია დაითვალოს სექტორის მიერ მიღებული ხმები, რომლებიც კომისიის მიერ შეჯამდება და მოხსენდება კრებას, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი.

8.2. ღია კენჭისყრის დროს პირველად ცხადდება ვინ არის საკითხის მომხრე და შემდეგ ვინ წინააღმდეგი.

8.3. ადვოკატთა ასოციაციის კრება ღიაა და კენჭისყრა მიმდინარეობს გამჭვირვალედ. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა შეიძლება მოავლინონ დამკვირვებლები ასოციაციისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კრებამდე მინიმუმ 5 დღით ადრე. ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განხორციელება დასაშვებია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს კრების მიმდინარეობის პროცესს.

## **მუხლი 9. რეგლამენტის დებულებების დაცვა**

9.1. წინამდებარე რეგლამენტის დარღვევისთვის დამსწრეთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ზემოქმედების შემდეგი ფორმები:

9.1.1. გაფრთხილება;

9.1.2. გამომსვლელისთვის სიტყვის ჩამორთმევა;

9.1.3. კრების დარბაზის დატოვება.

9.2. კრების თავმჯდომარე გამომსვლელს სიტყვას ჩამოართმევს თუ იგი:

9.2.1. კრებაზე სიტყვით გამოდის კრების თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;

9.2.2. აჭარბებს სიტყვით გამოსვლითვის ამ რეგლამენტით დადგენილ დროს.

9.3. კრების თავმჯდომარე გააფრთხილებს დამსწრე პირს, რომელიც:

9.3.1. ამ მუხლის 9.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვის ჩამორთმევის შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

9.3.2. სიტყვით გამოდის მიკროფონის გარეშე;

9.3.3. ჩაიდენს ქმედებას, რომელიც იწვევს კრების შეფერხებას.

9.4. კრების თავმჯდომარე დარბაზს დაატოვებინებს იმ დამსწრე პირს:

9.4.1. რომელმაც იმავე კრებაზე მიიღო ორი გაფრთხილება და ხელს უშლის კრების მიმდინარეობას;

9.4.2. რომელიც კრების დარბაზში გამოცხადდა იარაღით ან სხვა კანონით აკრძალული ნივთით ან ისეთი ნივთით, რომელიც ხელს უშლის კრების მიმდინარეობას;

9.4.3. რომელიც თავისი ქმედებით ხელს უშლის კრების მიმდინარეობას ან ამგვარი ქმედებისკენ მოუწოდებს სხვა წევრებს.

## **მუხლი 10. საერთო კრების ოქმი**

10.1. ასოციაციის კრების მსვლელობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

10.2. კრების ოქმს ადგენს კრების მდივანი, რომელსაც სამანდატო კომისიის შემადგენლობიდან თავისი ბრძანებით ნიშნავს ასოციაციის თავმჯდომარე.

## **მუხლი 11. უსაფრთხოების წესები პანდემიის პირობებში**

11.1. კრების დარბაზის შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი, თერმოსქრინინგისთვის განსაზღვრული აპარატი და სადეზინფექციო ხსნარი.



11.2. კრების დარბაზის ირგვლივ განთავსებულია ჰიგიენური ნარჩენების დახურული კონტეინერები.

11.4. კრების დარბაზის შესასვლელთან ხორციელდება დარბაზში შემსვლელ პირთა თერმოსქრინინგი. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში პირი არ დაიშვება კრების დარბაზში.

11.5. კრების დარბაზში ყოფნისას სავალდებულოა პირბადის ტარება. პირბადის ტარების თაობაზე ორჯერ უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოიყენოს ამ რეგლამენტის 9.4. მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

## **11. დასკვნითი დებულებები**

11.1. წინამდებარე რეგლამენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, რომლის ტექსტიც ავთენტურია.

11.2. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ ასოციაციის მიერ სათანადო წესით დამოწმებული რეგლამენტის ასლი.

## სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში (საერთო კრების მიერ საბოლოო რედაქციით მიღებული 2018 წლის 23 დეკემბერს) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

### 1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასოციაციის ადგილსამყოფელია: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11, თბილისი, საქართველო, 0108.“

### ცვლილების განმარტება:

ძმები ზუბალაშვილების ქუჩის განახლებული ნუმერაციისა და შეცვლილი საფოსტო ინდექსის გათვალისწინებით, წესდებაში მითითებული ასოციაციის ადგილსამყოფელი საჭიროებს ცვლილებას წარმოდგენილი რედაქციის შესაბამისად.

### 2. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

„12.2. საერთო კრება:

ა) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებას (წესდების ახალ რედაქციას) და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს;

დ) ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

ე) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;

ზ) დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადის ოდენობას.“

#### **ცვლილების განმარტება:**

წესდების წინამდებარე მუხლის აღნიშნული ქვეპუნქტების ცვლილება განპირობებულია წესდებაში არსებული ჩანაწერის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოქმედ რედაქციასთან შეუსაბამობით. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოქმედი რედაქციის თანახმად, წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გადაწყვეტილებებს საერთო კრება იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით (იხ. საქართველოს 2009 წლის 17 ნოემბრის კანონი №2040 - სსმ I, №38, 01.12.2009წ.).

### **3. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში შევიდეს შემდეგი ცვლილება:**

„12.2. საერთო კრება:

ლ) ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას, 15 წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლება ასოციაციაში უფრო ადრე გაწევრიანებული კანდიდატი.“

#### **ცვლილების განმარტება:**

წესდების წინამდებარე მუხლის აღნიშნული ქვეპუნქტის ჩანაწერი ხმის დამთვლელი კომისიის თხუთმეტივე წევრის ასარჩევად მრავალმანდატიანი და ღია კენჭისყრისათვის აწესებს არაპროპორციულად მაღალ საარჩევნო ზღვარს, რაც იწვევს თითოეული კანდიდატის ცალ-ცალკე კენჭისყრის აუცილებლობას და დაბალ ალბათობას, რომ ზემოხსენებულ მრავალმანდატიან (15 ასარჩევი წევრი) საარჩევნო პროცესში მონაწილე კანდიდატებმა დააგროვონ ხმების სათანადო რაოდენობა. აღნიშნული კი ქმნის ხმის დამთვლელი კომისიის ფორმირების შეუძლებლობისა და საერთო კრების მუშაობის მნიშვნელოვანი შეფერხების რისკს. შემოთავაზებული ცვლილებით დგინდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევის იმგვარი წესი, რაც შეესაბამება მრავალმანდატიანი საარჩევნო პროცესის მიზნებს და ამასთან, თანხვედრაში მოდის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული ორგანოების არჩევის უკვე დადგენილ წესთან.

#### 4. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13.7<sup>1</sup>. მუხლი:

13.7<sup>1</sup>. პანდემიის ან სხვა განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საერთო კრების გამართვა და კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება განხორციელდეს წევრთა დისტანციური დასწრებით (სპეციალური ვებ-პლატფორმის/ელექტრონული პორტალის მეშვეობით), გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული ფარული კენჭისყრით მისაღები გადაწყვეტილებებისა. წევრთა დისტანციური დასწრებით საერთო კრების გამართვის წესი და პროცედურები განისაზღვრება საერთო კრების რეგლამენტით.

#### 5. მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტში შევიდეს ცვლილება:

13<sup>1</sup>.4. წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ ~~საარჩევნო დღეს~~ კანდიდატების ნომინირება დაუშვებელია.

#### 6. მე-17 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

„17.1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან, კანონითა და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, **დამსწრე წევრთა ხმების უბრალო** უმრავლესობით, ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

17.2. უკეთესი შედეგის მქონე თანაბარი რაოდენობის ხმათა მიმღებ კანდიდატებს შორის არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში იმართება კენჭისყრის მეორე ტური. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას.“

#### ცვლილების განმარტება:

ასოციაციის წესდების მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები, რომელიც აწესებს თავმჯდომარის არჩევის წესს წინააღმდეგობაში მოდის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან (იხ. საქართველოს 2009 წლის 17 ნოემბრის კანონი №2040 - სსმ I, №38, 01.12.2009წ.), რომლის თანახმადაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების

უბრალო უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს. წესდების მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები კი თავმჯდომარის ასარჩევად აწესებს განსხვავებულ საარჩევნო სისტემას, კერძოდ, თავმჯდომარის ასარჩევად აწესებს „დამსწრეთა უმრავლესობის“ ქვორუმს. საარჩევნო სისტემის მიზნებისთვის, „დამსწრეთა უბრალო უმრავლესობა“ და „დამსწრეთა უმრავლესობა“ განსხვავებული საარჩევნო სისტემებია და განსხვავებულ შედეგებს იძლევა. პერსონიფიცირებული, მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში კანდიდატის გამოსავლენად საჭირო ხმების შესაფასებლად გამოიყენება: (ა) ფარდობითი (უბრალო) უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა; (ბ) აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა; (გ) კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ფარდობითი (უბრალო) უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას, ხოლო წესდება - აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას, რაც არსებითად წინააღმდეგობრივია. „დამსწრეთა უბრალო უმრავლესობა“, რომელსაც ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მოიაზრებს კანდიდატის არჩევას კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით ანუ, არჩეულად უნდა ჩაითვალოს ის კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას მიიღებს. საარჩევნო სისტემის ეს მოდელი მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები თანაბარი რაოდენობის ხმას მიიღებენ.

ასოციაციის თავმჯდომარის და სხვა ორგანოების წევრთა არჩევის სისტემა სრულად უნდა იყოს კანონთან თანხვედრაში, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი ცვლილებები. წესდების აღნიშნული დებულებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის თაობაზე ასევე მითითებულია ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი იმ ექსპერტების რეკომენდაციებში, რომელთაც განახორციელეს ასოციაციის საარჩევნო რეგულაციების შეფასება.